AGRO NEWS GEORGIA

101 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალა
პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით 101 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს მიზნობრივი დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეოდ შეეცვალა. საქმე ეხება მიწის ნაკვეთებს საერთო ფართით - 70 147 კვმ. ამასთან, ყველაზე დიდი ნაკვეთები სახელმწიფო საკუთრებაშია გორში (11 263 კვმ), ყვარელში (10 000 კვმ) და ხელვაჩაურში - ბათუმის მერიის საკუთრება (8 399 კვმ). შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა უკვე შეუცვალა ამ წელს მიზნობრივი დანიშნულება 96 მიწის ნაკვეთს, საერთო ფართით - 412 272 კვმ.
Daily News, 5 მაისი, 2014

FERRERO GROUP გეგმავს საქმიანობის გაფართოებას საქართველოში
საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, დღეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა FERRERO GROUP-ის წარმომადგენლებს. კომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას საქართველოში, აღნიშნავს მთავრობა. მთავრობის განცხადებით, კომპანია აპირებს გამოაქვეყნოს ინფორმაცია მაისში მისი საქმიანობის შესახებ საქართველოში. შეგახსენებთ, რომ FERRERO GROUP საქართველოში შემოვიდა 2007 წელს და შექმნა შვილობილი კომპანია AgriGeorgia ქვეყანაში. თხილის პლანტაციის გასაშენებლად დასავლეთ საქართველოში, კომპანიამ დაგეგმა 6 მლნ ევროს ინვესტიცია.
ECONOMIC NEWS, 2 მაისი, 2014

პროდუქტებზე ფასები გაიზარდა
გაზეთი წერს, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, კარტოფილის ფასი გაიზარდა დაახლოებით 200%-ით, რაც გაზეთის ცნობით დაკავშირებულია ექსპორტის გაზრდასთან, მცირე მოსავალთან და იმპორტთან. 100-150%-ით გაიზარდა ფასი ყვავილოვან კომბოსტოზე, 40%-ით ადგილობრივ ლობიოზე. ასევე გაიზარდა რძის პროდუქტების ფასი. ექსპერტ სოსო არჩვაძის განცხადებით, ადგილობრივი ფასების კოეფიციენტი მსოფლიო ფასებთან შედარებით 2003 წელს იყო 31% და 60%-მდე გაიზარდა 2013 წლის ბოლოსთვის. „ჩვენი დონე მსოფლიო ფასებთან მიმართებაში აღემატება ეკონომიკურ მოთხოვნებს და შესაძლებლობებს", მიაჩნია არჩვაძეს.
ECONOMIC PRESS MONITOR, 29 აპრილი, 2014

„თელიანი ველი ჯგუფის“ მოგება 2013 წელს გაიზარდა 65,5%-ით
აუდიტირებული კონსოლიდირებული ანგარიშის თანახმად ღვინის კომპანია „თელიანი ველი ჯგუფის“ წევრი კომპანიების წმინდა მოგებამ შეადგინა 2013 წელს 2,5 მლნ ლარი, რაც 65,5%-ით აღემატება წინა წლის შედეგს. გარდა სს „თელიანი ველისა“, ჯგუფში შედის ასევე შპს „თელიანი თრეიდინგი“ (ღვინის დისტრიბუცია, „თელიანი ველის“ 100%-იანი წილი), შპს „Le Caucase“ (ბრენდის მწარმოებელი, 100%), შპს „Kupa“ (მუხის კასრების მწარმოებელი, 70%), შპს „Teliani Trading Ukraine” (ღვინის დისტრიბუცია უკრაინაში, 100%). საანგარიშო წელს, ჯგუფის მიმდინარე აქტივებმა შეადგინა 26,8 მლნ ლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით - 44,5%), ხოლო მიმდინარე ვალდებულებებია - 9,3 მლნ ლარი (ზრდა - 76,3%). მარკეტინგის და გაყიდვების საქმიანობის ღირებულებამ შეადგინა 8,1 მლნ ლარი

(ზრდა - 18,3%). გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 35 მლნ ლარი (ზრდა - 20,1%). ამასთან, საკუთარი პროდუქციის გაყიდვებმა შეადგინა 62,8% (21,9 მლნ ლარი, მათ შორის ღვინო - 18 მლნ ლარი, ცქრიალა ღვინო 2,6 მლნ ლარი, კონიაკი 749 000 ლარი, ჭაჭა 562 000 ლარი), ხოლო „სხვა გაყიდვებმა" შეადგინა 36,6% (12,8 მლნ ლარი, მათ შორის არაყი - 6,99 მლნ ლარი, წვენი - 3,23 მლნ ლარი, ლუდი - 2,6 მლნ ლარი). გაყიდული პროდუქციის ძირითადმა ღირებულებამ შეადგინა 17,8 მლნ ლარი (ზრდა - 11,9%). ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თელიანი ველი“ აწარმოებს პროდუქციის ექსპორტს 25-ზე მეტ ქვეყანაში, ხოლო ძირითადი ბაზრებია უკრაინა და პოლონეთი. ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ნეგატიური მოვლენები უკრაინაში შეიძლება უარყოფითად აისახოს ფინანსურ მაჩვენებლებსა და ჯგუფის პოზიციაზე, თუმცა ზუსტი შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია ". კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1,2 მლნ ლარია ამჟამად, რომელიც იყოფა 120 მლნ ჩვეულებრივ აქციად (ნომინალური ღირებულება - 0,01 ლარი). 2013 წლის 31 დეკემბრისთვის ანაზღაურებული კაპიტალი შეადგენდა 770 900 ლარს.
Daily News, 29 აპრილი, 2014

ევროპა „არ ენდობა" ქართულ ციტრუსს

საგაზეთო ინტერვიუში ექსპერტი ვაჟა ბერიძე აცხადებს, რომ საქართველოს „ეკონომიკა რთულ ვითარებაშია, წარმოება და ინვესტიციები შემცირდა", მაგრამ „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შესახებ შეთანხმების (DCFTA) დადების შემდეგ ახალი სტანდარტები შევა ძალაში, რასაც დიდი სარგებელის მოტანა შეუძლია". ევროკავშირთან ექსპორტ-იმპორტის ბალანსი მკვეთრად უარყოფითია ამჟამად და შეიცვლება თანდათანობით, აცხადებს ექსპერტი. „რაც უფრო ადრე გავივლით ადაპტაციას ევროკავშირის სტანდარტებთან, მით უფრო ადრე გაჯანსაღდება საქართველოს ეკონომიკა", მიაჩნია მას. თუმცა, ბერიძე გვაფრთხილებს, რომ „თუ მაღალი ხარისხის ევროპული პროდუქცია და არა სუროგატები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დღეს, შემოვა საქართველოში, სავარაუდოდ, უფრო მაღალი ფასები იქნება". ბერიძე აქცენტს აკეთებს სურსათის უვნებლობის მკაცრ ევროპულ სტანდარტებზე. „მაგალითად, რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენი მანდარინი არ შეეფერება ევროპულ ბაზარს, რადგანაც სხვა ქვეყნები აწარმოებენ უკეთესი გემოს, ფერის და ზომის მანდარინის ექსპორტს", აცხადებს ბერიძე და „იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ შევძლებთ მანდარინის ექსპორტირებას ევროპის ქვეყნებში, ის ვერ იპოვის თავის ადგილს იქ და თუ ჩვენ არ მივმართავთ რუსეთის ბაზარს, ქართულ ციტრუსს ექნება საკმაოდ ცუდი პერსპექტივა". იგივე ეხება ჩვენ ვაშლს და სხვა მრავალ პროდუქტს, მიუთითებს ის.
ECONOMIC PRESS MONITOR, 28 აპრილი, 2014

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია ქობულეთში უახლოეს მომავალში დაიწყება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ ქობულეთის რაიონის სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია აჭარაში დაიწყება ივლისსა და აგვისტოში. რეაბილიტაციის, რომელიც უნდა დასრულდეს 2017 წელს, სავარაუდო ღირებულება შეადგენს 11,8 მილიონ ლარს. სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში ჭარბი წყლისგან გათავისუფლდება 2 500 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, აღნიშნავენ სამინისტროში. საპროექტო სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებს უკრაინის UkrVodProekt, დასრულდება მაისის ბოლოს. თავად რეაბილიტაცია დაიწყება ივლისსა და აგვისტოში და დასრულდება 2017 წელს.

DAILY NEWS, 25 აპრილი, 2014

აზოტოვანი სასუქები საქართველოს ექსპორტში თურქეთში პირველ ადგილზეა

„საქსტატის“ მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თურქეთში საქართველოს ექსპორტში პირველ პოზიციაზე აზოტოვანი სასუქები გავიდა. ამ მუხლის ექსპორტმა 11 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 8-ჯერ აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ზრდა დაფიქსირდა შემდეგ კატეგორიებშიც: ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან - 10,4 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 2,1-ჯერ); ტრიკოტაჟის მაისურები - 6,6 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 50,9%). ფეროშენადნობები - 3,5 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 66,2%), ქალის კოსტიუმები და ტანსაცმელი - 1.9 მლნ აშშ დოლარი (კლება - 8,7%). საერთო ჯამში საქართველოს 3 თვის ექსპორტმა თურქეთში შეადგინა 49,4 მლნ აშშ დოლარი, ზრდა - 33% წინა წელთან შედარებით. თავის მხრივ, იმპორტმა თურქეთიდან შეადგინა საანგარიშო კვარტალში 319 მლნ აშშ დოლარი, ზრდა - 18,5% წინა წელთან შედარებით. თურქეთის იმპორტის ხუთეულში იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნაწარმი - 10,1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 26,9%), სამკურნალო საშუალებები - 8,7 მლნ აშშ დოლარი (შემცირება - 24%), შავი ლითონის კონსტრუქციები - 8,3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 79,6%), სხვა მზა საფეიქრო ნაწარმი - 7,9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 62,7%), იზოლირებული მავთულები და კაბელები - 7,6 მლნ აშშ დოლარი (ზრდა - 43,8%). სავაჭრო ბრუნვამ თურქეთთან შეადგინა 368,4 მლნ აშშ დოლარი, რაც საქართველოს მთლიანი 3 თვის სავაჭრო ბრუნვის (2,5 მილიარდი აშშ დოლარი) 14,6%-ია.

DAILY NEWS, 25 აპრილი, 2014

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო: მდინარე თეძამზე ახალი წყალსაცავის აშენების შემდეგ დაახლოებით 3 000 ჰა მოირწყვება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა ახალი წყალსაცავის პროექტის პრეზენტაცია, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, თეძამის ხეობაში - მდინარე თეძამზე აშენდება (შიდა ქართლის რეგიონი). პროექტით სამუშაოების წინასწარი ღირებულებაა 46 მლნ ლარი. აღნიშნული პროექტი უკრაინის საპროექტო ინსტიტუტს „უკრ ვოდპროექტის“ და „საქართველოს გაერთიანებულ სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში „უკრ ვოდპროექტის“ სპეციალისტებმა შეასრულეს. სამინისტროს ცნობით, პროექტის დასრულების შემდეგ 3 000 ჰა მიწა მოირწყვება. წყალსაცავზე შესაძლებელია აშენდეს 2 მვტ სიმძლავრის ჰესი. წყალსაცავის სამუშაოები პროექტის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ მიმდინარე წლის ივნის-ივლისის თვეებში დაიწყება და 2018 წელს დასრულდება. მსგავსი წყალსაცავების მოწყობას საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც გეგმავს.

Daily News, 23 აპრილი, 2014

შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების 42% კახეთზე მოდის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით 1 წლის განმავლობაში შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-3 კომპონენტის (სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოს გახსნა და არსებულის გადაიარაღება) მთლიანი თანხების უდიდესი ნაწილი (42%, ანუ 40,7 მლნ ლარი) მოდის კახეთზე. ამ რეგიონში 215 სესხი გაიცა ამ კომპონენტის ფარგლებში. ქვემო ქართლზე, ამ კომპონენტის სიდიდით მეორე ბენეფიციარი რეგიონი, მოდის 17,3% (16,8 მლნ ლარი, 95 სესხი). შემდეგია თბილისი (12%, 24 სესხი, 11,7 მლნ ლარი), სამეგრელო-ზემო სვანეთი (9,3%, 27 სესხი, 9 მლნ ლარი), შიდა ქართლი (8,3%, 40 სესხი, 8,1 მლნ ლარი), იმერეთი (3,2%, 39 სესხი, 3,1 მლნ ლარი), სამცხე–ჯავახეთი (2,6%, 20 სესხი, 2,5 მლნ ლარი), გურია (2,3 %, 5 სესხი, 2,3 მლნ ლარი), მცხეთა (1,3%, 7 სესხი, 1,2 მლნ ლარი), აჭარა (1%, 6 სესხი, 936 946 ლარი) და რაჭა–ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი (0,7%, 3 სესხი, 647 981 ლარი). საერთო ჯამში, მე-3 კომპონენტის პროგრამის ასიგნებების ფარგლებში გაცემულია 96,99 მლნ ლარი. სესხებმა ამ კომპონენტის ფარგლებში შეიძლება შეადგინოს 30 000-600 000 აშშ დოლარი, ვადა 84 თვემდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დამოკიდებულია სესხის მოცულობაზე, არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს. ამასთან, 12% სუბსიდირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მენეჯმენტის სააგენტოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მე-2 კომპონენტის სესხების (კრედიტები საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის) ყველაზე დიდი ნაწილი ასევე გაცემულია კახეთში - 54,3% (91,6 მლნ ლარი).

DAILY NEWS, 22 აპრილი, 2014

შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი მეცხოველეობის ანგარიშზე მოდის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 1 წლის განმავლობაში შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-3 კომპონენტის (სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოს გახსნა და არსებულის გადაიარაღება) მთლიანი თანხების უდიდესი ნაწილი (30%, ანუ 29,7 მლნ ლარი) მესაქონლეობაზე მოდის. ამ მიმართულებით 249 სესხი გაიცა. მეორე ადგილზეა ალკოჰოლური სასმელების წარმოება - 23,1%, ანუ 22,4 მლნ ლარი (39 სესხი). შემდეგია მემცენარეობა (16,7%, 92 სესხი, 16,2 მლნ ლარი), ინფრასტრუქტურული საწარმოები (12,7%, 41 სესხი, 12,3 მლნ ლარი), მემცენარეობის პროდუქციის გადამუშავება (8%, 25 სესხი, 7,8 მლნ ლარი), მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავება (5,6%, 26 სესხი, 5,4 მლნ ლარი). შერეული საწარმოების ანგარიშზეა 3,3% (3,2 მლნ ლარი, 19 სესხი). საერთო ჯამში, პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში ასიგნებებმა შეადგინა 96,99 მლნ ლარი. სესხებმა ამ კომპონენტის ფარგლებში შეიძლება შეადგინოს 30 000-600 000 აშშ დოლარი, ვადა 84 თვემდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დამოკიდებულია სესხის მოცულობაზე, არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს. ამასთან, 12% სუბსიდირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მენეჯმენტის სააგენტოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობაზე მოდის ასევე პროგრამის მე-2 კომპონენტის (კრედიტები საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის) ყველაზე დიდი ნაწილი - 39,1 %, ანუ 65,9 მლნ ლარი.

DAILY NEWS, 22 აპრილი, 2014

ქართული ღვინის ფალსიფიკაციის ყველაზე მეტი ფაქტი ყირგიზეთში დაფიქსირდა

ქართული ღვინის ფალსიფიკაციის ყველაზე მეტი ფაქტი ყირგიზეთში დაფიქსირდა, ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა. „ყირგიზეთში ორი უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც ბაზარს მთლიანად აკონტროლებს და აწარმოებს ე.წ. ქართულ ღვინოს, რაზეც სააგენტომ რეაგირება მოახდინა. ძალიან ეფექტურად

მუშაობს საქართველოს საელჩო ყაზახეთში. იქ ასეთი ღვინოების მიწოდების პროცესი უკვე შენელდა. ევროკავშირთან პრობლემა არ არის, ისინი ითვალისწინებენ მადრიდის და ლისაბონის შეთანხმებებს ადგილწარმოშობის დასახელებებთან მიმართებაში. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, პერიოდული შემთხვევები გვხდება ბალტიისპირეთში, თუმცა, ელჩებთან გვაქვს ძალიან ინტენსიური კავშირი და ისინიც ყურადღებით აკვირდებიან", – აღნიშნა დავითაშვილმა. ამ შეთანხმებებს უგულებელყოფას უკეთებენ დსთ-ს ქვეყნები, განსაკუთრებით ის ქვეყნები, რომლებიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები არ არიან, აღნიშნა დავითაშვილმა და დასძინა: „არსებობს პრობლემები, მაგრამ ჩვენ წავედით პირდაპირი რეგისტრაციის გზით, რაც პრინციპში ცვლის ამ შეთანხმებებს". ასეთი რეგისტრაციები დასრულდა ბელორუსში, უკრაინაში, რუსეთსა და ყაზახეთში, ყირგიზეთში კი ეს პროცესი ახლახან დაიწყო.

DAILY NEWS, 17 აპრილი, 2014

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე: შეზღუდვები ქართული ღვინის ექსპორტზე ბელარუსში მოხსნილია

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ იყო დაბრკოლებები ქართული ღვინის ექსპორტზე ბელარუსში წლის დასაწყისში, მაგრამ შეზღუდვა ახლა უკვე მოხსნილია. „ჩვენ მივაღწიეთ შეზღუდვის გაუქმებას და იმედი გვაქვს, რომ ეს აღარ მოხდება მომავალში," დავითაშვილი დღეს გამართულ ბრიფინგზე აუდიტორიას არწმუნებდა. მან არ დააკონკრეტა შეზღუდვის მიზეზი, მხოლოდ აღნიშნა, რომ უამრავი ბიუროკრატიული პროცედურა არის გასავლელი ბელარუსში. მას შემდეგ, რაც შეზღუდვები გაუქმდა, სააგენტომ გასცა საექსპორტო სერტიფიკატი 80 000 ბოთლ ღვინოზე კომპანია „თბილღვინოსთვის". დავითაშვილმა აღნიშნა, რომ კვოტების სისტემის გაუქმება ბელარუსში სავარაუდოდ 2015 წელს მოხდება და ამის შემდეგ ექსპორტი ამ ქვეყანაში შეიძლება გაორმაგდეს ერთი წლის განმავლობაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს „სარკეს", რომ ღვინის ექსპორტი ბელარუსში შეადგენდა 1,58 მილიონ ბოთლს 2013 წელს, რაც მთლიანი ექსპორტის 3,4%-ია. (46,75 მლნ ბოთლი).

Daily News, 17 აპრილი, 2014

ბლიც-კვლევა: კომპანიების გეგმები DCFTA-ს ხელმოწერის მომდევნო პერიოდისთვის

„სარკემ" ადგილობრივი ექსპორტიორების გამოკითხვა მოაწყო მათი გეგმების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების" (DCFTA) ხელმოწერის შემდეგ. „სარკის" შეკითხვებს უპასუხა ღვინის კომპანიებმა ,,თელიანი ველი", „ხარება", ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელმა „ზედაზენი", ტკბილეულის საწარმოებმა „ბარამბო" და „ჩურჩხელა საქართველო", წვენების და კონსერვის მწარმოებელმა „კულამ" და სამკერვალო ფაბრიკა „ელსელემამ". კომპანიები იმედოვნებენ, რომ DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ ექსპორტი გაფართოვდება და აცხადებენ, რომ ისინი ვერ ხედავენ ტექნიკური ბარიერების პრობლემას. „თელიანი ველი": ევროპულ ბაზარზე ჩვენი ექსპორტის 60% მოდიოდა 2013 წელს. DCFTA-ს ფარგლებში გათვალისწინებული გადასახადების გამარტივება აისახება ფასებზეც და გაადვილებს კონკურენციას. მაგალითად, ამჟამად ჩვენ არ გვაქვს ექსპორტი ესპანეთსა და იტალიაში, რადგანაც ადგილობრივ პროდუქციაზე იქ უფრო დაბალი ფასებია. DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ჩვენი ფასები კონკურენტუნარიანი იქნება. ჩვენი საბოლოო ფასი ევროპულ ბაზარზე მერყეობს 6-15 ევროს ფარგლებში. ყველაზე რთულად იყიდება ჭაჭა ამგვარ ალკოჰოლურ სასმელებზე მაღალი გადასახადის გამო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ DCFTA-ს წყალობით გადასახადები შემცირდება და ჭაჭის ფასი არანაკლებ 30%-ით დაიკლებს. „ხარება": ჩვენ წარმოდგენილი ვართ საწყობით ნიდერლანდებში, საიდანაც ჩვენი

პროდუქციის მიწოდება ხდება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში. გასაყიდი ფასი საწყობში მერყეობს 4-50 ევროს ფარგლებში. DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ის შეიძლება შემცირდეს 10-15%-ით. გასულ წელს ჩვენ გავყიდეთ 1-1,5 მლნ ბოთლი და ვგეგმავთ 3 მლნ ბოთლის გაყიდვას წელს აშშ-ს, რუსეთის და ევროპის ბაზრებზე. იმავდროულად, ჩინეთზე მოდის ჩვენი გაყიდვების უდიდესი წილი. „ზედაზენი“: ამჟამად ჩვენი პროდუქცია წარმოდგენილია პოლონეთში, საბერძნეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, აშშ-ში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ა.შ. ჩვენ გვაქვს ნატურალური პროდუქტები, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით. შესაბამისად, ჩვენი პროდუქციის ექსპორტი ევროპულ ბაზარზე შეუფერხებლად მიმდინარეობს. უცხო მომხმარებელი უფრო დაინტერესებულია ლიმონათით, მაგრამ ჩვენ ლუდიც გაგვაქვს ექსპორტზე პოლონეთში. DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ ჩვენი ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება ევროპაში, ასევე გავაფართოვებთ ასორტიმენტს ამ ბაზარზე და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ევროპული ექსპორტის წილი იქნება მინიმუმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების წილის ტოლი. ჩვენ გვსურს შესვლა გერმანიასა და შვეიცარიაში, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ ვეძებთ საიმედო და გრძელვადიან პარტნიორს. ჩვენი პროდუქცია იყიდება ადგილზე ადგილობრივი ანალოგის ან ოდნავ უფრო მაღალ ფასად. ვიმედოვნებთ, რომ DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ ფასები იქნება თანაბარი. „ბარამბო“: წელს ჩვენ დავიწყეთ აქტიური მუშაობა ექსპორტზე, არა მხოლოდ ევროპის ქვეყნებში, არამედ აზიაშიც. ჩვენი პროდუქცია აკმაყოფილებს ევროპის შოკოლადის ბრენდების სტანდარტებს და, შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს ტექნიკური ბარიერები. „ჩურჩხელა საქართველოში“: ჩვენ წარმოდგენილი ვართ საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც ჩვენი ექსპორტის ფასი შეადგენს 2 აშშ დოლარს, ხოლო საბოლოო ფასია 3,5 ევრო. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პროდუქცია მისაღები იქნება ევროპის ბაზარზე და დიდ იმედებს ვამყარებთ ამ ბაზარზე. „კულა“: ჩვენ ექსპორტზე გაგვაქვს თითქმის მთელი ჩვენი პროდუქცია, რომელიც წარმოდგენილია პრემიუმ სეგმენტში 7 ევროპულ ქვეყანაში (მათ შორის, ჩეხეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში). DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ჩვენ მეტ ქვეყანაში შესვლის და ჩვენი კომპანიის პერსპექტივების გაფართოების იმედი გვაქვს. ჩვენი პროდუქცია უკვე სარგებლობს შეღავათებით ამ ქვეყნებში, რადგანაც ჩვენ არ ვიხდით გადასახადს იმ შემთხვევაში, როცა წარდგენილია წარმომავლობის სერტიფიკატი, ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ ფასების შემცირებას. გასულ წელს ევროპაში ჩვენი ექსპორტის დაახლოებით 17-20% გავიდა. DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, გაიზრდება 10%-ით და ჩვენ ვგეგმავთ იტალიის ბაზარზე შესვლას. „ელსელემა“: ევროპაზე მოდის ჩვენი ბრუნვის 75%, რადგანაც ჩვენ ვმუშაობთ იტალიურ ბრენდთან „Moncler“. ჩვენი პროდუქცია მთლიანად მიდის იტალიაში, აშშ-ში და ა.შ. გასულ წელს ჩვენ დავიწყეთ აბრეშუმის პარკის წარმოება და ვგეგმავთ აბრეშუმის პროდუქციის გამოშვებას წელს. ეს არ იქნება დიდი მოცულობა, მაგრამ ჩვენ გვექნება საქართველოს აბრეშუმის ქსოვილი. ჩვენ ვაპირებთ ქალთა მზა ტანსაცმლის ექსპორტს, არსებობს შეთავაზებები აშშ-დან, მაგრამ გარკვეული ნაწილი ასევე გაიგზავნება ევროპულ ბაზარზე. ადგილობრივ ბაზარზე ჩვენ ვაწარმოებთ ფორმებს ძალოვანი სტრუქტურებისთვის.

Daily News, 17 აპრილი, 2014

„პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი“: სოფლის მეურნეობა გაიზარდა და მშენებლობა შემცირდა ყველაზე მეტად 2013 წელს

„პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფში“ (PMCG) განაცხადეს, რომ 2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 3,2%-ით რეალური ზრდის ფონზე სოფლის მეურნეობა გაიზარდა ყველაზე მეტად - 9.8%-ით. ამ დარგის წილი მშპ-ს ზრდაში 0,72% იყო. მშენებლობა ყველაზე მეტად შემცირდა (10,6%-ით), რამაც მშპ-ს 0,71%-ით კლება გამოიწვია, აღნიშნეს PMCG-ში. „მშენებლობის აღნიშნული შემცირება სახელმწიფო ინფრასტრუქტურული

პროექტების დაფინანსების შემცირებამ გამოიწვია", განმარტავენ კომპანიაში. საანგარიშო წლის განმავლობაში, მრეწველობა გაიზარდა 6,9%-ით და ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მშპ-ს ზრდაში - 0.96%, აღნიშნეს PMCG-ში. ვაჭრობა გაიზარდა 5,1%-ით, რამაც ხელი შეუწყო მშპ-ს 0,74 პროცენტიან ზრდას. მეორე მხრივ, უდიდესი წილი მშპ-ს ზრდაში (გამოიანგარიშება ხარჯების მიხედვით) ჰქონდა ექსპორტს, რომლის მოცულობა გაიზარდა 20,1%-ით წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის წილი მშპ-ს ზრდაში იყო 0,9 პროცენტი და გახდა 5,1% საანგარიშო წელს. მოხმარების და იმპორტის მოცულობა თითქმის უცვლელი იყო 2012 წელთან შედარებით, ხოლო მთლიანი კაპიტალის ფორმირება შემცირდა 12,2%–ით სახელმწიფო ინვესტიციების კლების გამო, აღნიშნეს კომპანიაში. PMCG-ს ცნობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) და მშპ-ს ზრდას მსგავსი დინამიკა აქვს. 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა 20,1%-ით. ამან უარყოფითად იმოქმედა მშპ-ს ზრდის ტემპზე, რომელიც შემცირდა 1,0 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 6,2%, აღნიშნეს კომპანიაში და დასძინეს, რომ FDI სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა 2013 წელს და ზრდამ შეადგინა 1,1%. თუმცა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ისევ შენელდა (ამჯერად 3,1 პროცენტული პუნქტით), რაც შეიძლება გამოეწვია შიდა ინვესტიციების შემცირებას, განაცხადეს PMCG-ში. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობაში გაიზარდა 2013 წელს 28,1%-ით და ვარაუდობენ, რომ ეს უნდა აისახოს მშენებლობის მოცულობაში 2014 წელს.
Daily News, 17 აპრილი, 2014

აგრარული უნივერსიტეტი: მთავრობა აპირებს 400 000 ლარი წაართვას უნივერსიტეტს
აგრარულ უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ცოდნის ფონდს 8 მლნ ლარის ინვესტირება უნდა მოეხდინა უნივერსიტეტში 2013 წლის 24 დეკემბრამდე და ეს ვალდებულება გარანტირებული იყო 400 000 ლარით. 14 აპრილს უნივერსიტეტმა მიიღო წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გარანტიის ვადის გაგრძელების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტრო გარანტიის რაოდენობის შემცირებით იმუქრებოდა. „არ არსებობს არანაირი საფუძველი გარანტიის გაგრძელებისთვის, რადგან ფონდმა დახარჯა არა გამიზნული 8 მლნ ლარი, არამედ 11,2 მილიონ ლარზე მეტი ამ პერიოდში", რაც დასტურდება აუდიტორული დასკვნებით, იუწყებიან უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორის ლაშა გოცირიძის შეფასებით სამინისტროს აღნიშნული წერილი კიდევ ერთი პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმაა. გაზეთი შეგვახსენებს, რომ გასული წლის მარტში ავტორიზაციის საბჭომ გააუქმა აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაცია და ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა საზოგადოების პროტესტი. სულ მალე უნივერსიტეტის ავტორიზაცია აღდგა. თუმცა, ერთი თვის წინ პროკურატურამ დაკითხა უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბენდუქიძე და გოცირიძე უნივერსიტეტის უძრავი ქონების პრივატიზების საკითხზე (გამოქვეყნდა 16 აპრილს, 12:55).
ECONOMIC PRESS MONITOR, 17 აპრილი, 2014

„ხვნის ბარათით“ სარგებლობა ნოემბრამდეა შესაძლებელი
„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში იმ ბენეფიციართა საჭიროების გათვალისწინებით, რომლებიც ხვნის სამუშაოებს შემოდგომაზე ახორციელებენ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით მთავრობამ გადაწყვიტა ე.წ. ხვნის ბარათის გამოყენების ვადა 1-ელ ნოემბრამდე გაახანგრძლივოს. შეგახსენებთ, რომ სამინისტრომ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა 1 თებერვალს დაიწყო და დასრულება აგვისტოში დაიგეგმა. ამ პროგრამის ფარგლებში „ლიბერთი ბანკის" მიერ გაცემულია 73 884 „ხვნის ბარათი“,

რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 7 მლნ ლარს. გარდა ამისა, „ლიბერთი ბანკის" მიერ გაცემულია 362 187 ე.წ. „აგრობარათი“ და განაღდებულია ამ ბარათებზე დარიცხული 3,39 მლნ ლარის ეკვივალენტური ქულა (სასუქების, პესტიციდების შეძენა და ა.შ.). აგრობარათების მიღება შესაძლებელია 1 ივნისამდე. სამინისტროს 15 აპრილის მონაცემების მიხედვით ამ პროგრამის ფარგლებში მთლიანად მოიხნა 58 496 ჰექტარი მიწის ფართობი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60%-ით მეტია.
Daily News, 16 აპრილი, 2014

ქართული ღვინის გამოფენა პარიზში
ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით პარიზში ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ოფისში ქართული ღვინის გამოფენა-დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ სააგენტო და საფრანგეთში საქართველოს საელჩო. გამოფენაზე ქართული ღვინის მწარმოებელი 7 კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი: „თელავის ღვინის მარანი“, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „შატო მუხრანი“, „თბილღვინო“, „ხარება“, GWS და „თელიანი ველი“. სააგენტოს ცნობით ღონისძიებას 300-მდე სტუმარი ეწვია, მათ შორის იყვნენ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ვიცე-პრეზიდენტი ივეს ბენარდი, საფრანგეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, იუნესკოს (UNESCO) და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი რანგის წარმომადგენლები.
Daily News, 16 აპრილი, 2014

AGRO NEWS ARMENIA

სომხეთის მთავრობა 750 მლნ დრამს გამოჰყოფს ყინვით დაზარალებული ფერმებისთვის
სომხეთის მთავრობამ გამოყო დაახლოებით 750 მლნ დრამი იმ ფერმერების დასახმარებლად, რომლებიც დაზარალდნენ სიცივის გამო მიწის გადასახადის და მორწყვის საფასურის კომპენსირებით. 30 მარტის დიდთოვლობამ, რომელსაც ახლდა სეტყვა, ძლიერი ქარი და ტემპერატურის ვარდნა, სერიოზულად დააზიანა ნათესები სომხეთში. ზოგიერთი შეფასებით, მხოლოდ გარგარის ხეებისთვის მიყენებულმა ზიანმა შეიძლება მიაღწიოს 25 მლნ აშშ დოლარს. მიწის გადასახადი მთლიანად ანაზღაურდება, ხოლო მორწყვის საფასური ანაზღაურდება 50%-ით, განაცხადა ტერიტორიული ადმინისტრაციის მინისტრის მოადგილემ ვაჩე ტერტერიანმა. ვიცე-პრემიერმა, ტერიტორიული ადმინისტრაციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა არმენ გევორგიანმა განაცხადა, რომ რეგიონულმა მთავრობებმა უნდა შეადგინონ ბენეფიციარების სიები და გამოაქვეყნონ ოფიციალურ საიტებზე. გევორგიანმა დაავალა წყლის სახელმწიფო კომიტეტს სიების ვებსაიტზე გამოქვეყნება. შრომის და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა არტემ ასატრიანმა განაცხადა, რომ მისი სამინისტრო მხარდაჭერას გაუწევს დაზარალებულ ფერმებს არმავირის მარცის ფერმერების მსგავსად, რომლებიც შარშან დაზარალდნენ სეტყვისგან. გასულ წელს სულ 120 მლნ დრამი გასცეს 630 000 ოჯახზე, განაცხადა მან. ამ წელს ყინვისგან დაზარალებული ფერმები მიიღებენ 150-200 მილიონ დრამს მხარდაჭერის სახით, განაცხადა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა.
10 აპრილი, Arka

ტენდერები და განცხადებები

მოთხოვნა განაცხადების წარდგენის შესახებ - ორგანული მეურნეობები
ორგანული ფერმერული მეურნეობების ორგანიზაციების ინტერკონტინენტალური ქსელის პოტენციალის გაზრდა; მოთხოვნა განაცხადების წარდგენის შესახებ
IFAD-INOFO-ს პროექტი - ორგანული ფერმერული მეურნეობების ორგანიზაციების ინტერკონტინენტალური ქსელის პოტენციალის გაზრდა (INOFO) - დაიწყო 2014 წლის იანვარში და მიზნად ისახავს გაამლიეროს მცირემიწიანი ოჯახური ფერმები, განსაკუთრებით ორგანული ფერმერული ორგანიზაციები აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და აზიაში და მათი საერთაშორისო ქსელი. პროექტი მიზნად ისახავს საშუალება მისცეს ფერმერებს ერთობლივად და მათ ლიდერებს ინდივიდუალურად წარადგინონ თავიანთი ინტერესები ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში და მხარი დაუჭიროს მცირემიწიან ფერმერებს მათი რეალური მდგომარეობის აღიარებაში. პოტენციალის გაზრდის პროგრამა IFAD-INOFO-ს პროექტის ძირითადი კომპონენტია. პროგრამა გამიზნულია ორგანული ფერმერული ორგანიზაციების (OFOs) წარმომადგენლებისთვის აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში და ორგანული ფერმერული მეურნეობების ორგანიზაციების ამჟამინდელი და მომავალი ლიდერებისთვის. ის უძღვება მათი სამუშაო შესაძლებლობების განვითარების ორწლიან პროცესს.
გამოცემები და სხვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი
ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის მაისის გამოცემას გაეცანით **ამ მისამართზე.**

http://agrogeorgia.blog.com/

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე. **link**

DWV Agro Blog
გთხოვთ იხილოთ ჩვენი **AGRO BLOG** სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და გინდათ მისი გაზიარება AGRO BLOG-ზე, გამოაგზავნეთ მისამართზე agro@georgien.ahk.de

Agro&Food Up-to-Date
Agro&Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე.
http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=469&mailid=470&subid=11
http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=470&mailid=470&subid=11